F-171
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

დეკემბერი № 12 ДЕКАБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 14/III-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/V-86 წ.;
ანაწყობის ზომა $6^{1}/_{4}\times9$; ქაღალდის ზომა $60\times84$; ნაბეჭდი თაბახი 6,70;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,50.
შეკვეთა № 276 უე 10248 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 28 ნოემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ

Л 5300

მოისმინა რა ცენტრალური დამთვალიერებელი კომისიის ანგარიში, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. ბრძანებით დაამტკიცონ საარქივო დოკუმენტების წარმოებასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის დოკუმენტაციის წარმოებისა და დაცვის დადგენილ წესებს და თავის მხრივ სათანადო ინსტრუქტაჟს და დახმარებას გაუწევს რეგიონში შემავალ განათლების სამინისტროს სისტემის ყველა ობიექტს;

1. 2. 1986 წლის იანვრის ბოლომდე წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ანგარიში დათვალიერების შედეგად გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ.

2. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სახალხო განათლების მუზეუმს, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციას სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში მოიყვანონ საარქივო დოკუმენტაცია 1982 წლის ჩათვლით, ხოლო დოკუმენტები, რომლებიც უკვე ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ჩაბარებას ექვემდებარება, გადასცენ სახელმწიფო დაცვას 1986 წლის იანვრის ბოლოსათვის.

3. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე სამინისტროს ცენტრალური არქივისათვის ერთი დამატებითი საშტატო ერთეულის გამოყოფის შესახებ.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების ანგარიში

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი არქივის 1984 წლის 25 აპრილის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი არქივის 1984 წლის 27 სექტემბრის კოლეგიების გადაწყვეტილებების „სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ“ შესასრულებლად განათლების სამინისტროს სისტემაში 1985 წლის 11 თებერვლის № 99 ბრძანებით (დამატებითი ბრძანება № 352) შეიქმნა ცენტრალური დამთვალიერებელი კომისია, რომელშიც შეყვანილ იქნენ პასუხისმგებელი მუშაკები და სახელმწიფო არქივის წარმომადგენელი.

დამთვალიერებელი კომისიისათვის შემუშავებულ იქნა სამუშაო გეგმა, რომელიც სამინისტროს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა და საქართველოს სსრ ცენტრალურ არქივს შეუთანხმა.

ბრძანება დათვალიერების ჩატარების შესახებ და დათვალიერების ჩატარების სამუშაო გეგმა რესპუბლიკური დაქვემდებარების ყველა დაწესებულებას და რაიონის განათლების განყოფილებებს დაეგზავნა.

კომისიამ შერჩევით შეამოწმა დაქვემდებარებული დაწესებულებები.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში არქივი მოთავსებულია 12 კვ. მ. ფართობის ოთახში, შტატით ჰყავს არქივის გამგე — მ. მჭედლიშვილი. მასალები განლაგებულია ხის თაროებზე. შექმნილია საექსპერტო კომისია. საარქივო მასალები, კერძოდ, 1929—1969 წლების 565 საქმე ჩაბარებულია ცენტრალურ არქივში სახელმწიფო დაცვაზე, ხოლო 1970—1973 წლების 518 საქმე (პირადი შემადგენლობაზე) დამუშავებულია და ადგილზე ინახება. 1973—1980 წლების საქმეები მოწესრიგებულია. 1981 წლის მასალები დამუშავების პროცესშია.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დათვალიერების პერიოდში არქივზე პასუხისმგებლობა ბრძანებით საქმისმწარმოებელს მ. გაგნიძეს დაავალა. დოკუმენტები 1979 წლამდე დამუშავებულია და ცეცხლგამძლე კარადაშია მოთავსებული.

სახალხო განათლების მუზეუმში არქივზე პასუხისმგებლობა ბრძანებით დავალებული აქვს მუზეუმის ფონდების ზედამხედველს მ. ნანობაშვილს. 1938—1976 წლის ჩათვლით 238 საქმე ჩაბარებულია ცენტრალურ არქივში სახელმწიფო დაცვაზე, ხოლო 1960—1976 წლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის 142 საქმე პირად შემადგენლობაზე მუზეუმში ინახება.

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში არქივის დათვალიერება ვერ მოხერხდა, სარემონტო სამუშაოების გამო, რამეთუ მასალები სხვა ოთახშია თავმოყრილი.

სასახლის არქივის გამგეა ლ. ფანცხავა. საარქივო დოკუმენტები 1981 წლამდე სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგშია მოყვანილი.

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციას საერთოდ არქივი არა აქვს. ბრძანებები პირად შემადგენლობაზე და თანამშრომელთა პირადი საქმეები სწავლულ მდივანთან ზ. ტაბალუასთან ინახება.

ვინაიდან სამინისტროს ცენტრალურ არქივს მხოლოდ ერთი საშტატო ერთეული გააჩნია, რაიონებში გასვლა ვერ მოხერხდა. რაიონებს დაეგზავნათ ბრძანება დათვალიერების ჩატარების შესახებ. ადგილებიდან გვატყობინებენ, რომ დათვალიერებასთან დაკავშირებით სკოლებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების შესახებ, დაურიგდათ ინსტრუქციები, დაევალათ დროულად მოაწესრიგონ საარქივო დოკუმენტები და ჩააბარონ რაიონულ არქივებს.

ზოგ რაიონებში, სადაც ამის საშუალება იყო, შტატით დამტკიცდა არქივარიუსი. მაგალითად, ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილებამ დანიშნა არქივარიუსი, გამოუყო არქივს ოთახი და აღჭურვა შესაბამისი მოწყობილობებით.

უმრავლეს რაიონში კი (ჩოხატაური, კასპი, ზნაური, ცხინვალი, ზესტაფონი, გუდაუთა და სხვა) ბრძანებით გამოიყო არქივზე პასუხისმგებელი პირები.

განათლების სამინისტროს ახლო მომავალში გათვალისწინებული აქვს რაიონებში გასვლით შეამოწმოს დათვალიერების შედეგების მიხედვით დასახული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა.

თვით განათლების სამინისტროს აპარატში დათვალიერების პერიოდში შეიქმნა განათლების სამინისტროს ცენტრალური არქივი, მაგრამ, საშტატო ერთეული არ დამატებია და არქივის გამგესაც ხელფასი არ მომატებია.

საუწყებო არქივის გამგე ც. სიხარულიძე გადაყვანილ იქნა ცენტრალური არქივის გამგედ.

არქივს, ნაცვლად ერთი ოთახისა გამოეყო 3 ოთახი 50 კვ. მ. ფართობით. შეძენილ იქნა ლითონის სტელაჟები და სპეციალური მუყაოს ყუთები დოკუმენტების ჩასაწყობად, ამჟამად მიმდინარეობს საარქივო საქმეების ახალ საცავში განლაგება.

**დათვალიერების ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე, მინისტრის მოადგილე მ. დარჩია**

**თავმჯდომარის მოადგილე, ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი ზ. კაციტაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## О результатах общественного смотра хранения документов фонда Государственного архива системы Министерства просвещения Грузинской ССР

**28 ноября 1985 года**

Заслушав отчет Центральной комиссии по смотру хранения документов фонда Государственного архива системы Министерства просвещения Грузинской ССР, коллегия решает:

1. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской А/О, городов и районов республики, началчнику Управления народного образования г. Тбилиси:

1. 1. утвердить приказом работника, ответственного за ведение и хранение архивных документов, который основательно изучит установленные правила ведения и хранения документов и со своей стороны будет инструктировать и оказывать помощь всем входящим в регион объектам системы Министерства просвещения;

1. 2. до конца января 1986 года представить в Министерство просвещения отчет о проделанной работе по искоренению выявленных в результате смотра недостатков.

2. Объязать Центральный институт усовершенствования учителей, Научно-исследовательский институт педагогических наук им. Я· Гогебашвили, Музей народного образования, Республиканский Дворец пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе, редакцию журнала «Скола да цховреба» привести в научно-техникеский порядок архивную документацию по 1982 год включительно, а документы, уже подлежащие передаче в Центральный Государственный архив — передать в государственное хранение к концу января 1986 года.

3. Поставить вопрос перед Советом Министров ГССР о выделении дополнительно одной штатной единицы для Центрального архива Министерства.

**Председатель коллегии,**
**Министр О. Д. Кинкладзе**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ОТЧЕТ

## о результатах общественного смотра хранения документов государственного фонда системы Министерства просвещения Грузинской ССР

Во исполнение решений коллегий Главного архива при Совете Министров СССР и Главного архива при Совете Министов Грузинской ССР от 25 апреля 1984 года и 27 сентября 1984 года «О ходе общественного смотра хранения документов государственного архивного фонда» в системе Министерства просвещения Грузинской ССР приказом № 99 от 11 февраля 1985 года (дополнительный приказ № 352) создана Центральная комиссия по проведению общественного смотра, в состав которой вошли ответственные работники и представители государственного архива.

Был разработан план работы комиссии, утвержденный руководством Министерства и согласованный с архивом ОРЦС Грузинской ССР.

Приказ о проведении смотра и план работы разослан во все учреждения республиканского подчинения и районные отделы народного образования.

Комиссия выборочно проверила подведомственные учреждения.

Проверка показала, что в Центральном институте усовершенствования учителей архив расположен в комнате с площадью в 12 кв. м., институт по штатному расписанию имеет заведующего архивом — Мчедлишвили М. З. Материалы расположены на деревянных полках. Создана экспертная комиссия. Архивные материалы 565 дел за 1929—1969 годы сданы в Центральный архив на государственное хранение. 518 дел (на личный состав) за 1970—1973 годы обработаны и хранятся на месте. Упорядочены дела за 1973—1980 годы, материалы же за 1981 год в процессе обработки.

В период смотра руководство Научно-исследовательского института педагогических наук им. Я. Гогебашвили ответственность за архивные материалы приказом возложило на делопроизводителя Гагнидзе М. Документы до 1979 года обработаны и помещены в несгораемый шкаф.

В Музее народного образования ответственность за архив приказом возложена на надзирателя музейных фондов Наноба-

швили М. 238 дел с 1938 по 1976 год включительно сданы в Центральный архив на государственное хранение.

142 дела на личный состав за 1960—1976 годы хранится в Музее.

В Республиканском Дворце пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе смотр не состоялся из-за проводимых ремонтных работ, т. к. все материалы временно хранятся в другом помещении.

Дворец имеет заведующего архивом Панцава Л. З. Архивные документы до 1981 года приведены в научно-технический порядок.

Редакция журнала «Скола да цховреба» («Школа и жизнь») архива не имеет. Приказы на личный состав и личные дела сотрудников хранятся у ученого секретаря Табагуа З.

Ввиду того, что Центральный архив Министерства имеет всего лишь одну штатную единицу, выезд в районы не состоялся. Районам был разослан приказ о проведении смотра. В полученных с мест справках сообщается, что ими проведен инструктаж по вопросам ведения школьной документации; в связи со смотром школам розданы инструкции и поручено своевременно упорядочить архивные документы с последующей сдачей в районные архивы.

В отдельных районах, где была возможность, по штату утвержден архивариус. Так, например, Амбролаурский районный отдел народного образования назначил архивариуса, выделил для архива помещение и снарядил его соответствующим оборудованием.

В подавляющем же большинстве районов (Чохатаурский, Каспский, Знаурский, Цхинвальский, Зестафонский, Гудаутский и др.) приказом выделены лица, ответственные за архив.

Министерство просвещения в ближайшем будущем предусматривает выездом на места проверку состояния выполнения мероприятий, намеченных в результате проведения смотра.

В самом же аппарате Министерства в период смотра был создан Центральный архив Министерства просвещения без дополнительной штатной единицы и без надбавки к зарплате заведующего архивом.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Заведующая ведомственным архивом Сихарулидзе Ц. переведена заведующей Центральным архивом.

Архиву вместо одной, выделены 3 комнаты площадью в 50 кв. м. Приобретены металлические стеллажи и специальные картонные коробки для хранения документов. В настоящее время архивные дела раскладываются по полкам в новом помещении.

**Председатель комиссии по проведению смотра, Заместитель Министра М. Дарчия**

**Заместитель председателя, Начальник АХО Б. Кацитадзе**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის 1985 წლის 28 ნოემბრის დადგენილება

## ნორჩ შემოქმედთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარების შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა აღნიშნავენ, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკური შეკრება-სემინარის როლი ნიჭიერ მოსწავლეთა მოზიდვისა და შემოქმედებითი წრთობის საქმეში.

იგი მასშტაბურად ავლენს მწერლური ხედვის უნარით დაჯილდოებულ მოსწავლეებს, რომელთა შემოქმედებაში განსაკუთრებით თავს იჩენს პატრიოტულ-ინტერნაციონალური სულისკვეთება და თანამედროვე ადამიანის შინაგანი სამყაროს წვდომის სურვილი. ამას ადასტურებს შეკრება-სემინარზე შემოსული მასალა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობამ **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

1. ნორჩ შემოქმედთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი ჩატარდეს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში 1986 წლის 15-18 მაისს.

2. შეკრება-სემინარის ჩატარება დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილებას, ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, კომკავშირის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნორჩ შემოქმედთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

4. დამტკიცდეს მე-5 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 1).

5. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტმასობრივი მუშაობის განყოფილებას (ამხ. ა. შარაშიძე) და სა-ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. ლორთქიფანიძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ მწერალთა
კავშირის გამგეობის
თავმჯდომარე შ. ნიშნიანიძე

დანართი 1

## ნორჩ შემოქმედთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. მარგველიძე ჯ. ვ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარე)
2. დარჩია მ. დ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ინანიშვილი რ. კ. — საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი
4. შარაშიძე ა. ვ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე
5 ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
6. ჭანტურია მ. რ. — კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე
7. ალავერდაშვილი ა. ი. —საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერული მუშაობის განყოფილების გამგე
8. ღვინჯილია ჯ. ნ. — ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი
9. ცერცვაძე ი. ნ. — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი
10. შელია ბ. ა. — ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი
11. ნიჟარაძე ე. ე. — ჟურნალ „დილას“ რედაქტორი
12. ქლენტი თ. გ. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

13. ხუნდაძე თ. გ. — გამომცემლობა „განთიადის“ გენერალური დირექტორი

14. ნაცვლიშვილი პ. თ. — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი

15. შველიძე ნ. დ. –– გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი

16. ჩხიკვიშვილი ა. ტ. — ჟურნალ „ცისკრის“ პასუხისმგებელი მდივანი

17. ბრეგვაძე ლ. ს. — კრიტიკოსი

18. გვაზავა კ. გ. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების გამგე

19. გოგუაძე მ. პ. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიის გამგე

20. პაიჭაძე ლ. ს. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიის მეთოდისტი

21. ერისთავი ლ. ს. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა შემოქმედებთან მუშაობის სექტორის გამგე

## დებულება

### ნორჩ შემოქმედთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარების შესახებ

ნორჩ შემოქმედთა შეკრება-სემინარს ატარებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე.

შეკრება-სემინარში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სახლების, პიონერთა სასახლეების და სახლების ნორჩ შემოქმედთა ან ლიტერატურულ წრეებში გაერთიანებულ შემოქმედებითი მონაცემებით დაჯილდოებულ მოსწავლეებსა და აქტივისტებს (ინდივიდუალურად, წრის ან პატარა ჯგუფების სახით, IV-დან X კლასის ჩათვლით).

### შეკრება-სემინარის მიზანია

გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭის, მწერლური ხედვისა და მდიდარი ფანტაზიის მქონე მოსწავლეები, ხელი შეუწყოს მათ კომუ-

ნისტური სულისკვეთებით აღზრდასა და მრავალმხრივ განათლებას.
გაუძლიეროს ინტერესი პარტიული, კომკავშირული ცხოვრების დღევანდელობისა და აქტუალური საკითხებისადმი.
ხელი შეუწყოს მათ შემდგომ შემოქმედებით დაოსტატებას, ფანტაზიის გამდიდრებას. გაუადვილოს თემის მიგნება, გამოუმუშაოს ჩანაფიქრის ორიგინალურად ხორცშესხმის, ხატოვნად გამოსახვის, ფრაზისა თუ ტექსტის გამართვის ჩვევა. დაუხვეწოს მხატვრული გემოვნება, სტიმული მისცეს მომავალ შემოქმედებით საქმიანობაში.

## მუშაობის შინაარსი

### თემა, ჟანრი, ფორმა

მოსწავლეს თავის შემოქმედების ნიმუშები შეუძლია წარმოადგინოს ნებისმიერ თემაზე: წეროს იმაზე, რაც მისთვის ახლობელია, საკუთარი თვალით უნახავს, განუცდია, რაზედაც უფიქრია, უოცნებია. თხზულებაში უნდა იგრძნობოდეს ცხოვრებასთან ახლო მისვლა, დღევანდელობა.

ჟანრი შეიძლება იყოს ნებისმიერი.

პოეზიის ნიმუშები — ლექსი, პოემა, ბალადა.

პროზის ნიმუშები — ესკიზი, ეტიუდი, მინიატურა, ჩანახატი, პეიზაჟი, ლიტერატურული პორტრეტი, მხატვრული ნარკვევი, დღიური, ნოველა, მოთხრობა, ფანტასტიკური თხზულება, იუმორისტული ჩანახატი, ოდა, ზღაპარი, იგავ-არაკი, კინომოთხრობა, სცენარი მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის, პიესა, ნახატი, მოთხრობა, ასე მაგალითად:

ლიტერატურული პორტრეტი, — გამოჩენილი მწერლის, ხელოვანის, მოღვაწისა, მისი გარეგნობის ან შინაგანი ბუნების დამახასიათებელი დეტალის გამოსახვით.

მხატვრული ნარკვევი — ამსახველი მწერლის, ხელოვანის, საზოგადო მოღვაწის, რევოლუციისა თუ სამამულო ომის ვეტერანის, მოწინავე კომკავშირელის ან პიონერის, შრომის გმირის სულიერი, საბრძოლო თუ შრომითი ცხოვრება-შემოქმედებისა (პირადად მათთან, მათი ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან, თანასოფლელებსა და თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად ჩაწერილი მასალის მიხედვით).

სახოტბო პოეზიის ან პროზის ნიმუშები:

შრომის სადიდებლად — დაწერილი შრომის პროცესზე დაკვირვების, შრომითი პათოსის სილამაზის შეგრძნებით ნაკარნახევი.

პიროვნების სადიდებლად — მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე, ხელოვანზე, ისტორიულ პირსა და შრომის გმირზე.

ეროვნული

ბუნების სადიდებლად (პეიზაჟი) — ქალაქის, სოფლისა თუ ბუნების სურათები, ხედები, ნატურის თავისთავადობის შენარჩუნებითა და სუბიექტური განწყობის გამოვლინებით.

ფანტასტური ნოველა და ზღაპარი — რომელშიც გამოკვეთილი იქნება: ადამიანი მომავალში, ადამიანი და მანქანა, ადამიანი და მედიცინა, ადამიანი და ოკეანე, ადამიანი და კოსმოსი.

თხზულებას უნდა გამოუძებნოს სასურველი ფორმა. საფუძვლად შეიძლება დაედოს ხალხური ზეპირსიტყვიერების მოტივიც.

## შეკრება-სემინარის ორგანიზაცია

შეკრება-სემინარი ტარდება ორ წელიწადში ერთხელ, ჯამდება ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე.

კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიურმა კოლექტივებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული ღონისძიების პროპაგანდა. სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში გამოავლინონ შემოქმედებითი მონაცემების მქონე მოსწავლეები, გააცნონ შეკრება-სემინარის ჩატარების პირობები და სხვა.

მოსწავლემ თავისი შემოქმედების ნიმუში უნდა წარუდგინოს წრის ხელმძღვანელს, ან საგნის (ქართული ენისა და ლიტერატურის) მასწავლებელს.

შეკრება-სემინარში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეებს შეუძლიათ თავისი შემოქმედების ნიმუშები სასახლეში გამოგზავნონ ინდივიდუალურადაც.

ნამუშევრის სატიტულე ფურცელზე დაიწეროს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, სკოლა, კლასი, ქვევით ბინის მისამართი, ტელეფონის ნომერი, იქვე მიეწეროს — ნორჩ შემოქმედთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება-სემინარისათვის.

შენიშვნა: მოსწავლის, ასევე მასწავლებლის სახელი და მამის სახელი დაიწეროს სრულად.

შესაძლოა წრემ მთლიანად მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოდგენილი იქნეს არა საერთოდ ხელნაწერი კრებულის ან ალმანახის სახით, არამედ წრის ყოველი წევრისა ინდივიდუალურად.

ნორჩმა პოეტმა კრებულში უნდა შეიტანოს არა ნაკლებ 10 ლექსისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩმა პროზაიკოსმა — არა ნაკლებ 5 მცირე ფორმის თხზულებისა, როგორიცაა: ესკიზი, ეტიუდი, მინიატურა, იუმორესკა, იგავ-არაკი და სხვა, ხოლო შედარებით დიდი ფორმის თხზულება-მოთხრობა, ნოველა, მხატვრული ნარკვევი — შეუძლია წარმოადგინოს ერთი ან ორი.

ნამუშევარი წარმოდგენილი იქნეს დაახლოებით საწერი ქაღალდის ფორმატისა ან ცოტა მოზრდილი ზომის ხელნაწერი ჟურნალის სახით, რათა გაადვილდეს მისი შენახვა, ან გამოფენაზე გამოტანა. ტექსტი ჩაიწეროს ავტორის მიერ შავი ტუშით, ქართული კალიგრაფიისათვის დამახასიათებელი სადა, მრგვლოვანი ასოებით, ზედმეტი ორნამენტირების გარეშე.

მასალა ჟურნალის ფურცლებზე დაიწეროს ცალმხრივად და ისე განლაგდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს ფურცლის ამოღება საგამოფენო სტენდზე მოსათავსებლად. სტამბურად შეკრული და აკინძული კალენკორისყდიანი ჟურნალი არ მიიღება.

ავტორმა ნამუშევარი წარმოადგინოს არა რამდენიმე რვეულის, არამედ ერთი კრებულის სახით (მასში შეუძლია შეიტანოს სხვადასხვა ჟანრის, თემისა და მოცულობის თხზულება).

დათვალიერებაზე ჩატარდება: სექციური მუშაობა ჟანრების მიხედვით, სემინარი ნორჩი შემოქმედებისა და მათი მასწავლებლებისათვის.

თემებზე: ა) ნორჩი შემოქმედების ლაბორატორია (მოსწავლეთათვის);

ბ) შემოქმედ ბავშვებთან მუშაობის შინაარსი და ფორმა (დათვალიერებაში მონაწილე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ან ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელთათვის).

საუკეთესო ნამუშევართა ავტორები გამოძახებული იქნებიან შეკრება-სემინარზე.

მონაწილეებს ბინითა და კვებით უზრუნველყოფს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, გზის ხარჯები უნდა გაიღონ განათლების რაიონულმა და საქალაქო განყოფილებებმა.

შემოსული ნამუშევრები ავტორს არ დაუბრუნდება. მოსწავლეები, რომლებიც წარმატებას მოიპოვებენ, დაჯილდოვდებიან.

სკოლის დირექციამ, საგნის მასწავლებელმა თუ წრის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყონ შერჩეული ნამუშევრების დროულად გადმოგზავნა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში, არა უგვიანეს 1986 წლის 1 აპრილისა,

(მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი 6, პიონერთა სასახლე, ნორჩ შემოქმედთა სტუდია).

შეკრება-სემინარში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეებს შეუძლიათ თავისი შემოქმედების კრებული სასახლეში გამოგზავნონ ინდივიდუალურადაც.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1985 წლის 28 ნოემბრის

## გადაწყვეტილება

### ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და 24-ე კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავს მიეძღვნა, მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა. ნორჩ მხაზველთა კონკურსის მაღალი შემოქმედებითი დონე განაპირობა რაიონული, საქალაქო და ზონალური ტურების ჩატარებისადმი პასუხისმგებლობის გაზრდამ, საგამოფენო ნახაზების, მოდელების დამზადების ხარისხის მიმართ მოთხოვნილების ამაღლებამ.

კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო შემდეგი სიახლეების დანერგვამ:

1. საგამოფენოდ მრავალი ნახაზი იქნა წარმოდგენილი მხაზველობითი გეომეტრიის ელემენტების გამოყენებითა და შეუღლებებით.

2. გამოცხადდა კონკურსი „შინმოუსვლელთა ხსოვნისადმი“ მიძღვნილი მემორიალის პროექტის შექმნაზე.

3. რესპუბლიკის სკოლებში დაიგზავნა ვიქტორინა-კონკურსის მასალები, რომელიც მოიცავდა საკითხებს ხაზვის ისტორიიდან.

მოწონება დაიმსახურა თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ სოფიო ხუსკივაძემ (მან სრულყოფილი პასუხები გამოაგზავნა ვიქტორინის შეკითხვებზე).

4. შემაჯამებელ შეკრებაზე კონკურსების ისტორიაში პირველად ჩატარდა სექციური მუშაობა.

საინტერესო მოხსენება თემაზე „სტანდარტების გამოყენება ხაზვის დროს“ წაიკითხა ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ხათუნა პერანიძემ.

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ არქიტექტორთა და საინჟინრო გრაფიკის კაბინეტის საბაზო (თბილისის 48-ე) და კაბინეტის საშეფო (დუშეთის მე-2) საშუალო სკოლების მონაწილეობით დუშეთში ჩატარდა ერთობლივი საინტერესო ღონისძიება თემაზე: „ხაზვის სამყაროში“ (პედაგოგ მ. შარაბიძის ხელმძღვანელობით).

ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 72 რაიონისა და ქალაქის 450 საშუალო სკოლის 2950 მოსწავლემ.

კონკურსის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობისა და ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტების მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრების პროფესორ-მასწავლებლები. უშუალოდ მათი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ლექცია-საუბრები, კონსულტაციები, ტურები, ნაშრომების რეცენზირება.

რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა ორდღიანი შემაჯამებელი შეკრება ჩატარდა ზესტაფონში.

შეკრების პირველ დღეს, 18 მაისს, მოეწყო სექციური მუშაობა. ზესტაფონის კულტურის სახლში გაიხსნა კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე საუკეთესო ნამუშევრები წარმოადგინეს თბილისის ლენინის, ორჯონიკიძის, გლდანისა და საბურთალოს რაიონებმა. კარგი იყო ზესტაფონის, თელავის, ბათუმის, აბაშის სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრები. შეკრების მეორე დღეს, 19 მაისს, შეჯამდა კონკურსის შედეგები, მოწონებულ იქნა გამოფენა. მოსწავლეთათვის ჩატარდა ექსკურსიები.

ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებისათვის დიდი მუშაობა გასწია შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ (ამხ. თ. ქლენტი).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

— მოწონებულ იქნეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის, ზესტაფონის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების, რესპუბლიკის კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სახალხო განათლების საქალაქო და რაიო-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ნული განყოფილებების მიერ გაწეული მუშაობა ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკური კონკურსის მომზადებასა და ჩატარებაში.

— ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკურ კონკურსზე საუკეთესოდ შესრულებული საგამოფენო ნახაზების, მოდელების წარმოდგენისა და საკონკურსო ამოცანების მაღალხარისხოვნად ამოხსნისათვის დაჯილდოვდნენ:

კონკურსის უმაღლესი ჯილდოთი — გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრიზით — 2 მოსწავლე (დანართი 1).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომით 88 მოსწავლე.

II ხარისხის დიპლომით — 150 მოსწავლე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით — 218 მოსწავლე.

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელით — 153 მოსწავლე.

საქართველოს სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ალკკ კომიტეტის საპატიო სიგელით — 27 მოსწავლე.

— ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში წლების განმავლობაში აქტიური მონაწილეობისა და მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდეს 6 მასწავლებელი (დანართი 2).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდეს ხაზვის 30 მასწავლებელი.

— ნორჩ მხაზველთა 24-ე რესპუბლიკური კონკურსი ჩატარდეს 1985 წლის სექტემბრიდან 1986 წლის მაისამდე. კონკურსი ჩატარდეს სამ ტურად VIII-IX-X კლასებისათვის.

ა) I დასწრებული ტური ჩატარდეს 1986 წლის 19 იანვარს საქალაქო და რაიონული ხელშემწყობი კომისიების მიერ;

ბ) II დასწრებული ტური ჩატარდეს 1986 წლის 16 მარტს ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ;

გ) III დასწრებული ტური ჩატარდეს 1986 წლის 20 აპრილს რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ;

დ) VII კლასებისათვის დასწრებული ტური ჩატარდეს 1986 წლის 16 მარტს ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

— ნორჩ მხაზველთა 24-ე რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა შეკრება ჩატარდეს 1986 წლის 16-17 მაისს ახმეტაში და მოეწყოს მათი ნამუშევრების გამოფენა.

—კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კო-

მიტეტის, კონკურსის ჟიურის, საკონკურსო ამოცანების შემდგენელი კომისიის, სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა (დანართი 3).

— დამტკიცდეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის მიერ წარმოდგენილი 24-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ხარჯთაღრიცხვა.

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

**ნორჩ მხაზველთა 23-ე რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ კონკურსში გამარჯვებულ და დაჯილდოებულ მოსწავლეთა სია:**

ა) კონკურსის უმაღლესი ჯილდო გ. ნიკოლაძის სახელობის პრიზი მიენიჭა:

1. ბადრი იოსების ძე მოლაშხიას — თბილისის 162-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს
2. ნინო ირაკლის ასულ მოსალიშვილს — თბილისის 102-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს

სამახსოვრო საჩუქრით დაჯილდოვდნენ კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილეები:

1. მაია ნოდარის ასული ახალკაცი — ქუთაისის 35-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე, პიონერთა სასახლის ხაზვის წრის წევრი
2. დავით ვიქტორის ძე ჭანტურია — აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
3. ქართლოს მევლუდის ძე ღვინიაშვილი — ტიბაანის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

დანართი 2

**ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში წლების განმავლობაში აქტიური მონაწილეობისა და მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ:**

1. ყუფარაძე ქეთევან ივანეს ასული — თბილისის 102-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
2. ლომიძე ელენე ილიას ასული — ხაშურის მე-14 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
3. ფანჩულიძე მადონა შოთას ასული — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ხაზვის კაბინეტის გამგე
4. კაკულია ოთარ ესტატეს ძე — თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
5. ვალიშვილი რუსუდან თამაზის ასული — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ხაზვის წრის მასწავლებელი
6. ჯიქია ნანული ნოეს ასული — სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 3

## ნორჩ მხაზველთა 24-ე რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

1. კობახიძე მანანა — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (თავმჯდომარე)

2. ხარიძე მანონი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

3. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

4. ალავერდაშვილი ანა — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

5. ნინიძე დაგმირა — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე. (სოხუმის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

6. ცივაძე ეთერი — აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე (ბათუმის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

7. ტატიშვილი თამაზი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი

8. სუჯაშვილი კობა — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი

9. თუთბერიძე ჰამლეტი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

10. ბეგიაშვილი გივი — სამხრეთ ოსეთის ა/ო სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილე

11. ჟღენტი თემური — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

12. ჩახავა იზოლდა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე

13. წერეთელი გურამი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე

14. შავგულიძე ანზორი — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის დოცენტი

16. კალაძე ვახტანგი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგე

17. მაჭავარიანი დიმიტრი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის არქიტექტურისა და საინჟინრო გრაფიკის კაბინეტის გამგე

18. გიორგაძე ქეთევანი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის არქიტექტურისა და საინჟინრო გრაფიკის კაბინეტის მეთოდისტი

19. წითელაური ზაური — ახმეტის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე

20. ლომაძე იური — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი, თბილისის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

## კონკურსის ჟიურის შემადგენლობა

1. შავგულიძე ანზორი — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე

2. კალაძე ვახტანგი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგე

3. მაჭავარიანი დიმიტრი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის არქიტექტურისა და საინჟინრო გრაფიკის კაბინეტის გამგე

## სარედაქციო საბჭო

1. შავგულიძე ანზორი — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე

2. ეფრემაშვილი მიხეილი — თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მეთოდისტი

3. ბარამიძე მაყვალა — თბილისის 48-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

## საკონკურსო ამოცანების შემდგენელი კომისია:

1. კაჭარავა ბიჭიკო — აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

2. ლომაძე იური — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი

3. ერისთავი ნუნუ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1985 წლის 28 ნოემბრის

# დადგენილება

### სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. სპორტის ტექნიკურ სახეობებში საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 1985 წლის ზაფხულში ჩატარებული შეჯიბრებების შესახებ დამტკიცდეს (თან ერთვის).

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე 1986 წლის ზაფხულში მოსწავლეთა შორის ჩატარდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში.

3. შეჯიბრებები ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

ა) ნორჩ რადიოსპორტსმენთა მე-19 რესპუბლიკური შეჯიბრება — 1986 წლის 17-დან 22 ივნისამდე;

ბ) ნორჩ ავტომოდელისტთა მე-18 რესპუბლიკური შეჯიბრება — 23-დან 25 ივნისამდე;

გ) ნორჩ გემთმოდელისტთა 21-ე რესპუბლიკური შეჯიბრება — 23-დან 30 ივლისამდე;

დ) ნორჩ ავიამოდელისტთა 54-ე რესპუბლიკური შეჯიბრება — 1-დან 6 ივლისამდე;

ე) ნორჩ რაკეტმოდელისტთა მე-12 რესპუბლიკური შეჯიბრება— 7-8 ივლისს.

4. დამტკიცდეს სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრებების საორგანიზაციო კომიტეტი (დანართი 1).

5. დამტკიცდეს სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების დებულებები შესწორებებით.

6. სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა უხელმძღვანელოს შეჯიბრებების მომზადებისა და ჩატარების საქმეს

7. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. ლ. ჯაში):

ა) დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები და სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები უზრუნველყოს საჭირო მასალებით;

ბ) შეჯიბრების მომზადების საქმეში სათანადო დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ხელმძღვანელებს;

გ) 1985 წლის 1 დეკემბრამდე შეადგინოს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მომარაგების განყოფილებას წარუდგინოს განაცხადი 1986 წლისათვის სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეებისათვის აუცილებელი მასალებისა და ძრავების გამოყოფის შესახებ;

დ) მოამზადოს და 1985—1986 სასწავლო წლის განმავლობაში უზრუნველყოს სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები სათანადო რაოდენობის მეთოდური მასალებით, აღწერილობებითა და პროგრამებით.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა:

ა) მიიღონ ქმედითი ზომები, რათა სკოლების უმრავლესობაში, განსაკუთრებით კი სკოლისგარეშე დაწესებულებებში ჩამოყალიბდეს სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეები და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათ ნაყოფიერ მუშაობას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარებისათვის;

ბ) რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების დირექტორებსა და ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებს გააცნონ მომავალ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის პირობები და შეჯიბრებებში მოსწავლეთა მასობრივად მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით დასახონ და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებები;

გ) შეჯიბრებების ჩასატარებლად ზუსტად იხელმძღვანელონ არსებული დებულებით;

დ) ადგილებზე ჩაატარონ შეჯიბრებები, უზრუნველყონ სათანადოდ მომზადებული ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და ინდივიდუალურ მონაწილეთა რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის შერჩევა;

ე) რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის მზადება, როგორც წესი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყონ სასწავლო წლის დასაწყისიდან.

9. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო, საქალაქო და რაიონული სადგურების დირექტორებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების ნორმალური მუშაობისათვის და მათი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების ამოცანებს.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1986 წლის ბიუჯეტში სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისათვის პროგრამების, მეთოდური მასალების შედგენისა და ბეჭდვისათვის საჭირო თანხა.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) და საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მომარაგების განყოფილებამ (ამხ. ო. ლაჭავა):

ა) სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეებს გამოუყონ საჭირო რაოდენობის მასალები და აპარატურა წრეების მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის;

ბ) სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნათა მიხედვით გამოუყონ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს მეთოდური მასალების, დებულებების, პროგრამებისა და ნახაზების დასაბეჭდად 500 კგ ქაღალდი და რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისათვის საჭირო მასალები და ინვენტარი.

12. გაზეთების „სახალხო განათლება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, „ნორჩი ლენინელი“, ჟურნალების „სკოლა და ცხოვრება“, „პიონერი“ და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეობრივი მუშაობის, შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების საკითხები.

13. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სამართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკკ ცენტრალუ-რი კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალა-ვერდაშვილი) და საქართველოს სსრ დოსაავის ცენტრალური კომი-ტეტის სპორტულ განყოფილებას (ამხ. თ. ჩხაიძე).

საქართველოს ალკკ ცენტრა-
ლური კომიტეტის მდივანი
ვ. ლორთქიფანიძე

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ დოსაავის
ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე ბ. ნანეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საორგანიზაციო კომიტეტი

1. დარჩია მამია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

2. ხაჩიძე მანონი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

3. ჩხაიძე თენგიზი — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

4. ჯაში ლევანი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

5. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

6. ალავერდაშვილი ანა — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

7. ვაშაკიძე ალექსანდრე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველოს უფროსი

8. კოტიკოვი ედუარდი — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის საწყლოსნო სახეობათა განყოფილების უფროსი

9. სელივანოვი ნიკოლოზი — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის უფროსი რადიოსახეობაში

10. ლაფაჩი გია — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს ინსპექტორი

11. ნაყოფია ვალერი — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ავიასპორტკლუბის უფროსი

12. გეგელაშვილი დავითი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორის მოადგილე სასწავლო-მეთოდურ დარგში

13. გაგუა ნინელი — საქართველოს სსრ დოსააფის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცნობა

## ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების შედეგების შესახებ

1985 წლის ზაფხულში, 17 ივნისიდან 12 ივლისამდე, ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრებები მოსწავლეთა შორის სპორტის ტექნიკურ სახეობებში. შეჯიბრებებმა დამაჯერებლად ცხადყვეს მოსწავლე ახალგაზრდობის მზარდი ინტერესი ტექნიკური სპორტისადმი.

რესპუბლიკურ შეჯიბრებებს წინ უძღოდა რაიონული (საქალაქო) და ზონალური შეჯიბრებები, რომლებშიც 4000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

თბილისში ჩატარებულ ნორჩ რადიოსპორტსმენთა მე-18 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქ. ქ. თბილისის, ბათუმის, ცხინვალის, წულუკიძის, სხვა ქალაქებისა და რაიონების 8 გუნდმა 45 ნორჩი რადიოსპორტსმენის შემადგენლობით.

შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ქუთაისისა და რუსთავის გუნდები. ტყიბულის გუნდი არასრულად იყო დაკომპლექტებული და მისი წევრები მხოლოდ გუნდურ ჩათვლაში მონაწილეობდნენ.

ცალკეულ სახეობათა მიხედვით შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: რადიომრავალჭიდში — 12 მოსწავლე, მათ შორის 4 გოგონა; სპორტულ რადიოპელენგაციაში („ნადირობა მელიებზე“) — 21 მოსწავლე, მათ შორის 7 გოგონა; რადიოგრამების მიღება-გადაცემაში —16 მოსწავლე, მათ შორის 8 გოგონა.

ნორჩ რადიოსპორტსმენთა შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა და იგი სავსებით შეესაბამებოდა პიონერებსა და მოსწავლეებს შორის რადიოსპორტში საკავშირო შეჯიბრებების ჩატარების პროგრამას.

შეჯიბრების ცალკეულ სახეებში ადგილები ასე განაწილდა: რადიოგრამების მიღება-გადაცემაში პირველი ადგილი მოიპოვა აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის გუნდმა, მეორე ადგილი — თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდმა, ხოლო მესამე ადგილი — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის გუნდმა.

ვაჟებს შორის რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა თბილისის 91-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გიასედდინ გულიევი, მეორე ადგილი დაიკავა თბილისის 44-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოს-

წავლემ სტანისლავ რაევმა, მესამე ადგილი კი წილად ხვდა ბათუმის
მე-15 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეს ალექს ნდრე გორ-
ბაჩოვს.
გოგონებს შორის ჩემპიონი გახდა ბათუმის მე-10 საშუალო სკო-
მე-9 კლასის მოსწავლე ელენე ასლანიდი, მეორე ადგილზე გამოვიდა
თბილისის 81-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ნანა ხაინ-
დრავა, მესამე ადგილზე — თბილისის 116-ე საშუალო სკოლის მე-9
კლასის მოსწავლე ელგა პაცევიჩი.
რადიომრავალჭიდში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ბავშვ-
თა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდმა, მეორე ად-
გილი — აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის
გუნდმა, მესამე ადგილზე გამოვიდა წულუკიძის რაიონის ნორჩ ტექ-
ნიკოსთა სადგურის გუნდი.
ამ სახეობაში ვაჟებს შორის ჩემპიონი გახდა თბილისის 131-ე სა-
შუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე თევდორე კოტანოვი, მეორე
ადგილზე გამოვიდა ამავე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე გარიცპანია-
ნი, მესამეზე — ბათუმის მე-18 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოს-
წავლე ვიტალი პაშკევიჩი.
გოგონებს შორის ჩემპიონობა მოიპოვა წულუკიძის რუსული სა-
შუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ეკატერინე ლიპარტელიანმა,
მეორე ადგილი — თბილისის 44-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის
მოსწავლემ ირინე კიჩიჯიმ, მესამე ადგილი — ბათუმის მე-10 საშუა-
ლო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ვიქტორია ტიმოფეევამ.
სპორტულ რადიოპელენგაციაში ადგილები ასე განაწილდა:
პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ბ. ძნელაძის სახ. პიონერ-
თა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გუნდმა, მეორე ადგი-
ლი — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის გუნდმა, მესამე ადგილი —
აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის გუნდმა.
სპორტულ რადიოპელენგაციაში ვაჟებს შორის ჩემპიონი გახდა
თბილისის 82-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ალექსან-
დრე შუბი, მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის 82-ე საშუალო სკო-
ლის მე-9 კლასის მოსწავლე ალექსანდრე კარჩებნი, მესამე ადგილზე—
თბილისის 106-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ალექსანდ-
რე შალინოვი.
გოგონებს შორის ჩემპიონი გახდა თბილისის 137-ე საშუალო სკო-
ლის მე-9 კლასის მოსწავლე ნინო დოლზანოვა, მეორე ადგილი მოიპო-
ვა წულუკიძის რუსული საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ
ნატო დანგაძემ, მესამე ადგილი — თბილისის 41-ე საშუალო სკოლის
მე-9 კლასის მოსწავლემ ნატალია მერაბოვამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიოესტაფეტაში პირველი ადგილი დაიკავა აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის გუნდმა, მეორე ადგილი — თბილისის 62-ე საშუალო სკოლის გუნდმა, მესამე ადგილი — წულუკიძის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გუნდმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა, I ხარისხის სიგელისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასის მფლობელი გახდა თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდი. მეორე ადგილი დაიკავა აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის გუნდმა, რომელიც დაჯილდოვდა II ხარისხის სიგელითა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვიმპელით, ხოლო მესამე ადგილის მფლობელს, თბილისის 42-ე საშუალო სკოლის გუნდს III ხარისხის სიგელი გადაეცა.

1985 წლის 1-3 ივლისს, რუსთავში დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზაზე ჩატარდა ნორჩ ავტომოდელისტთა მე-17 რესპუბლიკური შეჯიბრება.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 გუნდი და ინდივიდუალური მონაწილენი, სულ 50 მოსწავლე. წარმოდგენილი მოდელების სასტენდო და სავალი ნაწილების შემოწმებამ და თვით შეჯიბრების მსვლელობამ დაადასტურა, რომ ავტოსამოდელო სპორტი ჩვენს რესპუბლიკაში სათანადო სიმაღლეზე დგას და მიუხედავად არადამაკმაყოფილებელი მატერიალური ბაზისა, ზრდას განაგრძობს. შეჯიბრებაზე წარმოდგენილმა სხვადასხვა კონსტრუქციით დამზადებულმა მრავალმა მოდელმა სვლის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავტომოდელისტთა გუნდმა, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასით და I ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის მასწავლებელთა სახლის ავტომოდელისტთა გუნდი, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვიმპელითა და II ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა, ხოლო III ადგილზე გამოსული ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავტომოდელისტთა გუნდი III ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა.

მოდელების ცალკეული კლასების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ:

1,5 სმ³ მოცულობის ასლ-მოდელების კლასში — თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ალექსანდრე ცერცვაძე;

2,5 სმ³ მოცულობის ძრავიან ასლ-მოდელების კლასში — თბილისის 112-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე დავით ქვრივიშვილი;

1,5 სმ³ მოცულობის ძრავიან სარბოლო მოდელებში —თბილისის 112-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ავთანდილ კობიძე,

2,5 სმ³ მოცულობის ძრავიან სარბოლო მოდელებში—თბილისის 63-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე არტურ კაზარიანი.

საჰაერო ხრახნიან მოდელებში—თბილისის 84-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე მამუკა მელიქოვი.

ელექტრომობილის ასლ-მოდელებში—თბილისის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე იგორ შუმანი.

რადიოთი მართულ ასლ-მოდელებში—თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ბესარიონ კეზერაშვილი.

გამარჯვებული გუნდების ყველა წევრი სათანადოდ დაჯილდოვდა I, II და III ხარისხის სიგელით, ხოლო პირად პირველობაში გამარჯვებული მოსწავლეები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავტომოდელისტთა გუნდის ყველა წევრი ჩემპიონის ვიმპელებით დაჯილდოვდა.

1985 წლის 26-30 ივლისს თბილისში ლისის ტბის აკვატორიაზე ჩატარებულ ნორჩ გემთმოდელისტთა მე-20 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ქვემოდასახელებული გუნდები:

1. თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურიდან
2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურიდან
3. თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურიდან
4. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურიდან
5. აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურიდან
6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურიდან
7. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურიდან
8. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურიდან
9. წულუკიძის ნორჩ ტექნიკოსთა რაიონული სადგურიდან

გემთმოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება ჩატარდა დებულებით გათვალისწინებული ყველა პირობისა და წესის დაცვით.

შეჯიბრებაზე წარმოდგენილი მოდელები გამოირჩეოდნენ ორიგინალურობით, გარეგანი გაფორმებითა და სავალი ნაწილების სრულყოფილი კონსტრუქციით. შეჯიბრებამ ცხადყო პიონერ-მოსწავლეთა დამაკმაყოფილებელი მომზადება საზღვაო და სამდინარო გემთმოდელების კონსტრუირების საქმეში. შეჯიბრების შედეგების მიხედვით გუნდური პირველი ადგილი დაიკავა რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის ნორჩ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გუნდი, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის გუნდმა.

მოდელების ცალკეული კლასების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: თბილისის 175-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ანდრეი შუხოვი — „ДХ“ ტიპის არამართული იახტის მიხედვით, თბილისის 82-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ალბერტ მკრტიჩიანი — „ДП“ ტიპის არამართული იახტის მოდელით, თბილისის მე-19 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ალექსანდრე დოლინსკი, — წყალქვეშა ნავის თვითმავალი მოდელით, ფოთის მე-3 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე გრიგოლ ჩებანოვი — „ЕН“ ტიპის სამოქალაქო გემის თვითმავალი ასლმოდელით, რუსთავის მე-3 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე მიხეილ ზაცარინი — სამხედრო გემის თვითმავალი ასლ-მოდელით, თბილისის 88-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ზურაბ დოდაშვილი — „ЕК-500э“ ტიპის თვითმავალი ასლ-მოდელით, რუსთავის მე-3 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ლევან მამაცაშვილი — „Ф3-В“ ტიპის რადიომართული ფიგურული კურსის ჩქაროსნული მოდელით, ფოთის მე-8 საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე ვიქტორ გორბუნოვი — „Ф2-А“ ტიპის ფიგურული კურსის რადიომართული ასლ-მოდელით.

1985 წლის 5-12 ივლისს რუსთავში დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტული კომპლექსის ბაზაზე ჩატარდა ნორჩ ავიამოდელისტთა 53-ე და ნორჩ რაკეტამოდელისტთა მე-11 რესპუბლიკური შეჯიბრებები.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 14 გუნდმა 129 მოსწავლის შემადგენლობით.

შეჯიბრების შედეგებმა ცხადყო, რომ ყოველწლიურად მაღლდება ნორჩ ავიამოდელისტთა და რაკეტამოდელისტთა მომზადების დონე.

კარგი სპორტული მიღწევებით გამოირჩეოდნენ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის, ქ. ქ. ქუთაისის, რუსთავის, წულუკიძის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების გუნდების წევრები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გუნდების მწვრთნელი-ხელმძღვანელები მუდმივად და დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ მოსწავლეთა მომზადების დონის სრულყოფისათვის.

როგორც პირად, ასევე გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდნენ, ძირითადად, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, თბილისის ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის, ქუთაისის, რუსთავისა და წულუკიძის გუნდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდურ ჩათვლაში უკანასკნელი 9 წლის მანძილზე უცვლელად ლიდერობს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდი. ამჯერადაც მან I ადგილი, I ხარისხის სიგელი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასი მოიპოვა (ხელმძღვანელი რ. შმატკოვი).

მეორე ადგილი დაიკავა ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გუნდმა, რომელიც დაჯილდოვდა II ხარისხის სიგელითა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვიმპელით (ხელმძღვანელი ვ. წილოსანი). მესამე ადგილზე გამოვიდა რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გუნდი (ხელმძღვანელი ვ. ოსიპოვი).

პროგრამით გათვალისწინებულ ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს:

A-2 პლანერის კლასში — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ირაკლი ოთხმეზურმა;

B-2 რეზინძრავიანი მოდელების კლასში — თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლემ ვასილ ჩიჩუამ;

F-1-C ტაიმერული მოდელების კლასში — თბილისის 66-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ალექსანდრე ტოკარევმა.

საჰაერო ბრძოლის მოდელების კლასში — წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ მირზა სანოძემ და 1-ლი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ პაატა კახიანმა, S-6-A რაკეტების კლასში — თბილისის მე-19 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ სერგო ბაილომ, S-3A რაკეტების კლასში — ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლემ გიორგი ჩარკვიანმა.

გამარჯვებული გუნდის წევრებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ I, II და III ხარისხის სიგელები, ფასიანი საჩუქრები და 1985 წლის ჩემპიონის ვიმპელები.

სპორტის ტექნიკურ სახეობათა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებამ დადებით მხარეებთან ერთად ნაკლოვანებებიც გამოავლინა. რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში არ არის შექმნილი ისეთი წამყვანი ტექნიკური წრეები, როგორიცაა ავიასამოდელო, ავტოსამოდელო და სხვა. ზოგიერთი განათლების განყოფილება არ ასრულებს ზემდგომი ორგანოების მითითებებს სკოლებში სპორტის ტექნიკურ სახეობათა წრეების დანერგვისა და განვითარების შესახებ.

სპორტის ტექნიკური სახეების შეჯიბრებებში წლების მანძილზე არ მონაწილეობენ ახალციხის, ახმეტის, გორის, თელავის, კასპის, მახარაძის, ბორჯომის, ზესტაფონის, ცხაკაიას და ზოგიერთი სხვა რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონის სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები.

ტექნიკური წრეების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. დოსააფის ადგილობრივი კომიტეტები ნაკლებად ეხმარებიან ტექნიკურ წრეებს მასალებითა და აპარატურით მომარაგების საქმეში.

დღემდე არც ერთ სკოლისგარეშე დაწესებულებას არ გააჩნია სპორტულ-ტექნიკური კომპლექსი კორდოდრომის, აქვატორიუმის და ავტომოდელდრომის სახით. ამის გამო ცალკეული გუნდები შეჯიბრებაზე მოუმზადებელი ჩამოდიან, ვინაიდან არა აქვთ ახლად დამზადებული მოდელების გამოცდისა და ვარჯიშის საშუალება.

რადიოსპორტული წრეები აპარატურის მწვავე ნაკლებობას განიცდიან, რაც ხელს უშლის რადიომოყვარულთა წრეების ქსელის გაფართოებას.

**აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო**

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 28 ნოემბრის

# დადგენილება

### ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და ნორჩ ფოტომოყვარულთა 22-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, გაეცნენ რა ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის შედეგებს, აღნიშნავენ, რომ ფოტოკონკურსმა და განსაკუთრებით მისმა შემაჯამებელმა გამოფენამ მრავალი ნიჭიერი ნორჩი ფოტომოყვარული გამოავლინა. რესპუბლიკური ფოტოკონკურსი გამოირჩეოდა მასობრიობით, მან ხელი შეუწყო საწრეო მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას. ფოტოკონკურსზე წარმოდგენილი შინაარსიანი და სრულყოფილად დამუშავებული სურათები მეტყველებენ მოსწავლეთა ფოტოხელოვნების დონის ზრდაზე, მათი გემოვნების დახვეწაზე.

ნორჩ ფოტომოყვარულთა რაიონულ, საქალაქო და საოლქო გამოფენებზე წარმოდგენილი სურათებიდან ჟიურის მიერ შერჩეული და საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე გადმოგზავნილი 892 სურათიდან შემაჯამებელ გამოფენაზე ექსპონირებული იქნა 164 სურათი.

წარმოდგენილი ფოტოსურათები ასახავენ ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, მოსწავლეთა სწავლას, შრომისა და დასვენების ცალკეულ მომენტებს, პეიზაჟებს, ახალგაზრდა თაობის ინტერესს სამამულო ომის გმირებისადმი და სხვა.

კონკურსში აქტიური მონაწილეობით გამოირჩეოდნენ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრეები.

რესპუბლიკური გამოფენის მრავალრიცხოვან დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურეს ფოტოსურათებმა: „მშვიდობის მტრედები“ (გელოვანი თამაზი — ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე), „მედოლე“ (თიღილაური ილია — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე), „რასა“ (ტიკარაძე ირმა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე), „ანარეკლი" (ხიმშიაშვილი ლელა — ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე),„დილის ვარჯიში" (გენგიური ზურაბი — თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე), „გატანილი გოლის სიხარული" (ლობჟანიძე თამარი — ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე), „უცნობი ჯარისკაცის საფლავისაკენ" (ავაზაშვილი ზვიადი — თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე), „ლაშქრობაზე" (ლოლომაძე კობა—ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე) და სხვა.

კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ აფხაზეთის ასსრ, გორისა და ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს, აგრეთვე ადიგენის, ახმეტის, ბოლნისის, გეგეჭკორის, კასპის, ლაგოდეხის, ლენტეხის, ლანჩხუთის, მარნეულის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის და ზოგიერთი სხვა რაიონის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს.

ჟიურიმ პირველი პრემიით დააჯილდოვა 5 მოსწავლე, მეორე პრემიით — 10, მესამე პრემიით — 25 მოსწავლე, სიგელით — 10 მოსწავლე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი კონკურსში გამარჯვებულ ფოტომოყვარულთა, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებული ფოტოწრეებისა და წრის ხელმძღვანელების დაჯილდოების შესახებ დამტკიცდეს (დანართი 1, 2, 3).

2. ნორჩ ფოტომოყვარულთა 22-ე რესპუბლიკური კონკურსის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი (დანართი 4).

3. საორგანიზაციო კომიტეტმა ფოტოკონკურსის ჩატარებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

4. დაევალოს ნორჩ ფოტომოყვარულთა 22-ე რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს:

ა) უზრუნველყოს რაიონები საჭირო რაოდენობის საინსტრუქციო მასალებითა და დებულებებით;

ბ) ადგილებზე დახმარების გაწევის მიზნით მიავლინოს სპეციალისტები იმ ქალაქებსა და რაიონებში, რომლებსაც კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის განათლების სამმართველოს უფროსს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) შექმნან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსის ხელშემწყობი კომისიები, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციებისა და მშობელთა კომიტეტების წარმომადგენელთა შემადგენლობით;

ბ) გაშალონ ადგილებზე მოსამზადებელი მუშაობა და კონკურსში მონაწილეობის პირობები დაიყვანონ ყველა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებამდე;

გ) 1986 წლის 20 აპრილამდე მოაწყონ ნორჩ ფოტომოყვარულთა საოლქო, საქალაქო და რაიონული გამოფენები;

დ) უზრუნველყონ 1986 წლის 1 მაისამდე გამოფენებიდან შერჩეული საუკეთესო ნამუშევრების ქ. თბილისში, რესპუბლიკურ ფოტოკონკურსზე წარმოდგენა;

ე) ნორჩ ფოტომოყვარულთა 22-ე რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელი გამოფენის გახსნა მოეწყოს 1986 წლის 19 მაისს.

6. გაზეთებმა „სახალხო განათლება" (ამხ. ნ. შველიძე), „ახალგაზრდა კომუნისტი" (ამხ. პ. ნაცვლიშვილი), „მოლოდიოჟ გრუზიი" (ამხ. ვ. ანასტასიადი), „ნორჩი ლენინელი" (ამხ. ი. ცერცვაძე), ჟურნალებმა „სკოლა და ცხოვრება" (ამხ. რ. ძერია), „პიონერი" (ამხ. ბ. შელია), საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა (ამხ. ამხ. ე. მიქაბერიძე, რ. გამსახურდია) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ (ამხ. ა. ალავერდაშვილი) კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. ლორთქიფანიძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

დანართი 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილე მოსწავლეების სია, რომლებიც სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ:

პირველი პრემიით (I ხარისხის სიგელითა და 15 მანეთის ფასიანი საჩუქრით):

1. გელოვანი თამაზი — ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
2. თილილაური ილია — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
3. ტიკარიძე ირმა — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
4. ხიმშიაშვილი ლელა — ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
5. გენგიური ზურაბი — თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

მეორე პრემიით (II ხარისხის სიგელითა და 10 მანეთის ფასიანი საჩუქრით):

1. ლობჟანიძე თამარი — ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
2. პატარიძე ზაზა — ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე
3. ხახუტაიშვილი რევაზი — ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
4. კორძაია ზაირა — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კაპრეშუმის რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
5. ისაევი ვალერი — თბილისის 136-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
6. ლოლომაძე კობა — ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
7. ბუხრაშვილი გიორგი — თბილისის მე-100 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
8. არზუმანიანი სასუნი — ბოგდანოვკის რუსული საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

9. გამეზარდაშვილი გელა — ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

10. აბულაძე ხათელა — ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

მესამე პრემიით (III ხარისხის სიგელითა და 5 მანეთის ფასიანი საჩუქრით):

1. გეგუჩაძე ვალერიანი — ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
2. ფარცხალაძე ამირანი — თბილისის 166-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
3. ავაზაშვილი ზვიადი — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
4. ჯიდალიშვილი ალექსანდრე — თელავის 1-ლი საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე
5. კვერნაძე გოჩა — თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
6. გოგსაძე ციცინო — ამბროლაურის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
7. ლომთაძე ბესიკი — ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
8. ვალიევი ვლადიმერი — ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
9. ქალიაშვილი მამუკა — ხაშურის მე-5 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
10. მეტრეველი გოჩა — რუსთავის 61-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე
11. გიგანი ამირანი — ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე
12. მიქელაძე რამაზი — ბათუმის 28-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
13. სამანიშვილი ლევანი — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
14. კონჭოშვილი დავითი — რუსთავის მე-6 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
15. ჟორჟოლიანი მიხეილი — წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

16. იორაშვილი ზურაბი — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

17. აბესაძე გია — ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

18. გოგუაძე ტატა — სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე

19. სოლდატოვი ვალერი — ცხინვალის მე-11 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

20. ფაჩუაშვილი ვალერი — ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

21. ზანდარაძე როინი — ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

22. აივაზიანი კარენი — ფოთის მე-3 საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე

23. მეფარიშვილი ირაკლი — სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე

24. ქობულოვა ირა — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

25. არჩვაძე გელა — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

სიგელით:

1. ყორყოლიანი მამუკა — წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

2. არზუმანიანი სასუნი — ბოგდანოვკის რუსული საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

3. ფარცხალაძე ამირანი — თბილისის 166-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

4. სამანიშვილი ლევანი — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

5. გუბელაძე თენგიზი — ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

6. ჯულაყიძე ბესიკი — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

7. ანასტასიადი არტური — ბათუმის რაიონის სოფელ ქობაურის საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

8. ბათნიძე ნინო — ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

9. მხეცაძე ტარიელი — ვანის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

10. აბაკაევა აიდა — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

დანართი 2

**სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ფოტომოყვარულთა წრეების სია, რომლებიც ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკურ კონკურსში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:**

I ხარისხის სიგელით:

1. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე
2. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე
3. სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე
4. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე

II ხარისხის სიგელით:

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტომოყვარულთა წრე
2. ტყიბულის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე
3. ქობულეთის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ფოტომოყვარულთა წრე

III ხარისხის სიგელით:

1. ბათუმის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე
2. ამბროლაურის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრე
4. სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრე
5. ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშის საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრე

დანართი 3

**სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და იმ მუშაკთა სია, რომლებიც ნორჩ ფოტომოყვარულთა 21-ე რესპუბლიკურ კონკურსში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისა და აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით:**

1. გუგუშვილი ლამარა — ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
2. გენძეხაძე კორნელი — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
3. ბაგაევი ო. — სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
4. ლოლომაძე გიული — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
5. დათუაშვილი ზურაბი — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
6. პატარიძე ნუგზარი — სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
7. ტოფაძე რევაზი — ბათუმის პიონერთა პარკის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
8. ბათნიძე დავითი — ქობულეთის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
9. გოგსაძე ალექსანდრე — ამბროლაურის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
10. მეფარიშვილი რევაზი — რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი
11. ჩხაბერიძე მედეა — ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშის საშუალო სკოლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი

12. წიწილაშვილი სერგო — ტყიბულის პიონერთა სახლის ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 4

**ნორჩ ფოტომოყვარულთა 22-ე რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი**

1. დარჩია მამია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
2. თურქია ოთარი — „საქინფორმის" ფოტოინფორმაციის მთავარი რედაქტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
3. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
4. ალავერდაშვილი ანა — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
5. ჯაში ლევანი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი
6. ნაცვლიშვილი პაატა — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" მთავარი რედაქტორი
7. ცერცვაძე ივანე — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორი
8. ჟღენტი თემური — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი
9. მამასახლისი ალექსანდრე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოცენტი
10. დათუაშვილი ზურაბი — გაზეთ „თბილისის" კორესპონდენტი
11. გენგიური ვალერიანი — გაზეთ „კომუნისტის" ფოტორეპორტიორი
12. გურასაშვილი ავთანდილი — გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტი
13. ვართანესოვი სურენი — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფოტოლაბორატორიის გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება

### საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიან და საშუალო სკოლებთან არსებული ქორეოგრაფიული წრეებისა და სტუდიების ახალი დებულების დამტკიცების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა რეალიზაციის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ქორეოგრაფიული წრეებისა და სტუდიების ახალი დებულება (თან ერთვის).

2. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) უზრუნველყოს მისი დასტამბვა 700 ცალის ოდენობით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1980 წლის 19 თებერვალს დამტკიცებული დებულება „რესპუბლიკის რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ქორეოგრაფიული წრეებისა და სტუდიების შესახებ“.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„შეთანხმებულია"
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. ი. იოსელიანი

2 დეკემბერი 1985 წ.

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. დ. ქინქლაძე

28 ნოემბერი 1985 წ.

# დებულება

## ქორეოგრაფიული წრეების (სტუდიების) შესახებ

### I. წრის (სტუდიის) მიზანი და ამოცანები

ქორეოგრაფიული წრის (სტუდიის) ძირითადი მიზანია ცეკვებისა და საცეკვაო დადგმების შესწავლა-შესრულება, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, რომლის პროცესშიც მოსწავლეები საჭირო ცოდნასა და ჩვევებს იძენენ, ეცნობიან სხვადასხვა ცეკვის თავისებურებებსა და ნიმუშებს, ასევე მუსიკალურ მელოდიებსა და ჩაცმულობას.

ქორეოგრაფიული წრის (სტუდიის) ამოცანაა მოსწავლეებს შეასწავლოს ცეკვის ხელოვნების საფუძვლები, გააცნოს მათ სანიმუშო ნაწარმოებები და მისცეს ამ დარგში სათანადო ცოდნა, განუვითაროს მხატვრული გემოვნება და ხელი შეუწყოს მოზარდის ესთეტიკურ აღზრდას.

### II. სტუდიის (წრის) ორგანიზაციული წყობა და სტრუქტურა

1. ქორეოგრაფიული სტუდია შეიძლება გაიხსნას რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების შუამდგომლობით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე (სპეციალურ ანგარიშზე) რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, პიონერთა სახლებთან და სასახლეებთან, სკოლა-ინტერნატებთან, მხატვრული აღზრდის სახლებთან სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მოსწავლეთა კონტინგენტისა და კვალიფიციური კადრის არსებობის პირობებში, სახალხო განათლების განყოფილებისათვის დამტკიცებული შრომის გეგმის (ხელფასის ფონდისა და მუ-

მაკთა რიცხოვნობის), სამმართველო აპარატის რიცხოვნობისა და [illegible] სი შენახვისათვის გათვალისწინებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ქორეოგრაფიული სტუდია შეიძლება დაიხუროს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ბრძანებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მოსწავლეთა მცირე კონტინგენტისა და არაკვალიფიციური კადრის არსებობის პირობებში.

2. განათლების ადგილობრივმა განყოფილებამ განაცხადი სტუდიის გახსნის თაობაზე უნდა წარადგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან შეთანხმების შემდეგ, სასწავლო წლის დაწყებამდე სამი თვით ადრე.

ქორეოგრაფიული სტუდიის გახსნისათვის აუცილებელია მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 100 ბავშვისა.

3. სკოლებში ქორეოგრაფიული წრე გაიხსნება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ბრძანებით· მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს 50-დან 100-მდე.

4. ქორეოგრაფიული წრე (სტუდია) ხელმძღვანელობს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მიერ შემუშავებული, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით, რომელიც შეთანხმებულია განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან.

5. ქორეოგრაფიულ წრეში (სტუდიაში) შეიძლება ისწავლებოდეს როგორც ქართული ხალხური, ასევე საბჭოთა კავშირის ხალხთა, კლასიკური, სამეჯლისო ცეკვები.

6. ქორეოგრაფიულ სტუდიაში მეცადინეობა წარმოებს ოთხი წლის მანძილზე. სწავლების პირველი წელი ატარებს მოსამზადებელი კურსის ხასიათს და მიმდინარეობს მარტივი სავარჯიშოების სახით. ქართული ხალხური ცეკვების ძირითადი მასალა შეისწავლება შემდეგი სამი წლის განმავლობაში. ცეკვის წრეში სწავლების ხანგრძლივობა სამი წელია.

7. ქორეოგრაფიული სტუდიის დამთავრების შემდეგ მოსწავლე იღებს მოწმობას. მოწმობის ფორმას აწესებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ხოლო გაცემას აწარმოებს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III. ქორეოგრაფიულ წრეში (სტუდიაში) მოსწავლეთა მიღების წესი

1. ქორეოგრაფიულ წრეში (სტუდიაში) მიიღებიან 6-13 წლის ორივე სქესის, სათანადო ფიზიკური და მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეები, რომლებიც ასაკის მიხედვით დაიყოფიან ჯგუფებად:

I ჯგუფი — 6-7 წლის, II ჯგუფი — 8-9-10 წლის, III ჯგუფი — 11-12-13 წლის.

2. განცხადება ქორეოგრაფიულ წრეში (სტუდიაში) მიღების შესახებ იწერება სკოლის დირექტორის სახელზე. განცხადებას თან დაერთვის: მოსწავლის დაბადების მოწმობა (ასლი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ერთი ფოტოსურათი, ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან, სამედიცინო ცნობა მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ (სამედიცინო ცნობა ყოველწლიურად უნდა განახლდეს).

მოსწავლე სხვა სკოლიდან ქორეოგრაფიულ წრეში (სტუდიაში) იმავე კლასში უგამოცდოდ გადმოიყვანება (წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე).

შენიშვნა: ქორეოგრაფიულ წრეში (სტუდიაში) მოსწავლეთა მიღება 1 ოქტომბრამდე გრძელდება.

## IV. ქორეოგრაფიული წრის (სტუდიის) სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. ქორეოგრაფიულ წრეში (სტუდიაში) სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობა ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე.

2. ქორეოგრაფიული წრე (სტუდია) მეცადინეობას იწყებს 1 სექტემბერს და ამთავრებს 25 ივნისს.

3. საშემოდგომო, ზამთრის და საგაზაფხულო არდადეგები ეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

4. მოსწავლეთა მოსწრება და ყოფაქცევა ფასდება ხუთქულიანი სისტემით.

5. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები ეწყობა კლასების მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გამოცდების ვადების გათვალისწინებით. გამოსაშვები გამოცდები ტარდება არაუგვიანეს 30 მაისისა, ხოლო გადასაყვანი გამოცდები 6-დან 15 ივნისამდე.

6. მოსწავლეები, რომლებიც ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო სასწავლო პროგრამის ნახევარს ვერ დაძლევენ, პედაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დატოვებულ იქნენ იმავე კლასში.

7. მოსწავლეები, რომლებიც გამოცდების პერიოდში ავად გახდნენ, კარგი აკადემიური მოსწრებისა და სასწავლო პროგრამის სრული ათვისების შემთხვევაში, შემაჯამებელი ნიშნების საფუძველზე შეიძლება გადაყვანილ იქნენ შემდეგ კლასში.

8. მოსწავლეებს, რომლებიც გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებენ შეფასებას „დამაკმაყოფილებელი“ ან „კარგი“, საგნის გადაბარების უფლება არ ეძლევათ.

9. მოსწავლეებს, რომლებმაც გამოსაშვებ გამოცდებზე „არადამაკმაყოფილებელი“ ნიშანი მიიღეს ან გამოცდების პერიოდში მწვავე დაავადება გადაიტანეს (სამედიცინო ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში), განმეორებითი გამოცდები ივნისში დაენიშნებათ.

10. მოსწავლეებს, რომლებსაც ძირითად და დამატებით გამოსაშვებ გამოცდებზე გასვლის საშუალება არ ჰქონდათ (მძიმე დაავადება, უბედური შემთხვევა და ა. შ.), უფლება ეძლევათ გამოცდები ერთი წლის შემდეგ ჩააბარონ.

11. გამოსაშვები კლასების გამოცდებს უნდა ესწრებოდეს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის წარმომადგენელი, ყველა დანარჩენ შემთხვევაში გამოცდებს სტუდიის ხელმძღვანელობა ატარებს.

12. სტუდიიდან (წრიდან) მოსწავლე გაირიცხება არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრების, დისციპლინის უხეში დარღვევისა და სწავლის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

13. ქორეოგრაფიული წრის (სტუდიის) თითოეულ ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 13-დან 16 მოსწავლის ჩათვლით. მეცადინეობა ტარდება კვირაში სამჯერ ორ-ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით, აკადემიური საათი 45 წუთს შეადგენს.

## V. ქორეოგრაფიული სტუდიის (წრის) პედაგოგიური საბჭო

1. მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ძირითადი საქმიანობის სწორად წარმართვისა და სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხის გადასაწყვეტად ქორეოგრაფიულ სტუდიაში იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელიც იკრიბება ყოველ სასწავლო სემესტრში არანაკლებ ორჯერ.

2. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, ქორეოგრაფიული სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგე (თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯდომარე), მასწავლებლები და აკომპანიატორები. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს სხდომებს ესწრება მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე).

3. მდივნის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელსაც ირჩევენ ერთი წლის ვადით.

4. პედაგოგიური საბჭო:

ა) განიხილავს ქორეოგრაფიული სტუდიის სამუშაო გეგმებს;

ბ) სახავს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა შორის იდეურ-პოლიტიკური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ ამაღლებას;

გ) ისმენს სკოლის დირექტორის, სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგისა და პედაგოგების ინფორმაციებს სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის შესახებ; იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

დ) ადგენს გადასაყვანი გამოცდების ზუსტ ვადებს, განიხილავს კურსდამთავრებულთათვის მოწმობების გაცემის, წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოების, სტუდიიდან ცალკეულ შემთხვევაში მოსწავლეთა გარიცხვისა და სხვა საკითხებს.

ოქმში უნდა გაშუქდეს პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგანი, კამათში გამომსვლელთა სიტყვების მოკლე შინაარსი და აღნიშნულ საკითხებზე მიღებული დადგენილებები.

5. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარემ სისტემატური კონტროლი უნდა გაუწიოს მიღებული დადგენილების შესრულებას.

6. ქორეოგრაფიული სტუდიის (წრის) მუშაობის შესახებ საკითხი უნდა განიხილოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საერთო პედაგოგიურმა საბჭომ წელიწადში არანაკლებ ერთხელ.

## VI. ქორეოგრაფიული სტუდიის ხელმძღვანელობა

1. ქალაქის (რაიონის) ქორეოგრაფ-მეთოდისტის სამუშაოზე დანიშვნა-განთავისუფლება ხორციელდება ადგილობრივი განათლების განყოფილების მიერ აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან შეთანხმებით. მეთოდისტებად ინიშნებიან უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, რომლებსაც აქვთ არანაკლებ 5 წლის პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2. ქალაქის (რაიონის) ქორეოგრაფ-მეთოდისტის უფლება-მოვალეობაში შედის:

ა) ქორეოგრაფიული სტუდიების (წრეების) მეთოდური და საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობა, მათდამი დახმარება, კონტროლი და პასუხისმგებლობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ქორეოგრაფიულ სტუდიებში (წრეებში) მეთოდური და პრაქტიკული ღონისძიებების ჩატარება;

გ) ქორეოგრაფიული სტუდიების (წრეების) პედაგოგიური კადრების შერჩევა-აღრიცხვა.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორიც არის. მას ევალება ხელმძღვანელობა და კონტროლის დაწესება ქორეოგრაფიული სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ორგანიზებაზე.

4. სკოლის დირექტორის მოვალეობაში შედის:

ა) ადმინისტრაციული პერსონალის დადგენილი წესით დანიშვნა-განთავისუფლება, ქორეოგრაფიული სტუდიისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კეთილმოწყობა და მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

ბ) ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის შერჩევა;

შენიშვნა: დამლაგებელი, საქმეთა მმართველი, მნე და ა. შ. ინიშნება სტუდიის შენახვისათვის აუცილებელი სახსრების არსებობის შემთხვევაში.

გ) მოსწავლეთა მიღებისა და კურსდამთავრებულთა გამოშვების წესების დაცვა;

დ) კონტაქტის განმტკიცება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მასთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიას შორის;

ე) ფინანსური დისციპლინის დაცვა, საერთო კონტროლის გაწევა დოკუმენტაციის წარმოებაზე;

ვ) შრომის დისციპლინის და შინაგანაწესის დამრღვევ თანამშრომელთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ქორეოგრაფიული სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგის დანიშვნა-განთავისუფლება ხდება დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. სასწავლო ნაწილის გამგეს ნიშნავს და ათავისუფლებს განათლების ადგილობრივი განყოფილება აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან შეთანხმებით.

6. ქორეოგრაფიული სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება.

7. ქორეოგრაფიული სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგე:

ა) პასუხისმგებელია სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის სწორ ორგანიზებაზე, პროგრამების, სასწავლო

გეგმების შესრულებაზე, მოსწავლეთა მოსწრებასა და დისციპლინაზე;

ბ) ადგენს სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის გეგმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს განათლების განყოფილებას;

გ) ამოწმებს და ამტკიცებს მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობების სამუშაო გეგმებს, როგორც სპეციალობაში ისე თეორიულ საგნებში, განიხილავს პედაგოგ-ქორეოგრაფის მიერ პროგრამის შესრულებას, პედაგოგიური საბჭოს წინაშე დადგენილ ვადებში წარადგენს ანგარიშს სასწავლო-მეთოდური მუშაობის მდგომარეობის შესახებ;

დ) ესწრება მეცადინეობებს სპეციალურ და თეორიულ საგნებში, ამოწმებს სწავლების მეთოდებსა და ფორმებს, კონტროლს უწევს მოსწავლეებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობების ცხრილის ზუსტად დაცვას;

ე) აკონტროლებს საკლასო ჟურნალების დროულად და წესიერად წარმოებას, მოსწავლეთა დასწრებას, შეფასების ობიექტურობას;

ვ) ანგარიშს აბარებს მშობელთა კომიტეტს ქორეოგრაფიული სტუდიის თანხების ხარჯვისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე;

ზ) აწარმოებს დოკუმენტაციის ყველა ფორმას თუ ქორეოგრაფიულ სტუდიაში არ არის საქმისმწარმოებელი;

თ) ადგენს წლიურ ხარჯთაღრიცხვას, აწესრიგებს ფინანსურ დისციპლინას.

8. ქორეოგრაფიული სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგის სამუშაო დღე განისაზღვრება 7 საათით.

9. ქალაქის (რაიონის) ქორეოგრაფ-მეთოდისტებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს, მასწავლებლებს ცალკეულ შემთხვევებში განათლების განყოფილების შუამდგომლობის საფუძველზე, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის ნებართვით შესაძლებელია მიეცეთ 2,0 განაკვეთი (საფუძველი: საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1976 წლის 29 დეკემბრის წერილი № 05-1-2).

## VII. ქორეოგრაფიული სტუდიის (წრის) მასწავლებლები და აკომპანიატორები

1. ქორეოგრაფიული სტუდიის (წრის) მასწავლებლებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება, ნიშნავს განათლების ადგილობრივი განყოფილება დადგენილი წესით, ხოლო სხვა პერსონალის (აკომპანიატორი, ტექნიკური და მომსახურე პერ-

სონალი) სამუშაოზე მიღება-განთავისუფლება ხდება სკოლის დირექ-ტორის ბრძანებით.

შენიშვნა: ქორეოგრაფიული სტუდიის მოწმობა კურსდამთავრე-ბულს პედაგოგის კვალიფიკაციას არ ანიჭებს.

2. მასწავლებლები და აკომპანიატორები სისტემატურად უნდა იმაღლებდნენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, პედაგოგიურ და საშემსრუ-ლებლო ოსტატობას, აქტიურად მონაწილეობდნენ სკოლის საზოგადო-ებრივ ცხოვრებაში.

3. მასწავლებლები სასწავლო ნაწილის გამგეს წარუდგენენ მეცა-დინეობის ცხრილს, აწვდიან ცნობებს სასწავლო გეგმებისა და პრო-გრამების შესრულების, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, მეცადი-ნეობებზე დასწრებისა და ყოფაქცევის შესახებ.

4. შვებულების შემდეგ მასწავლებლები და აკომპანიატორები სა-მუშაოზე 20 აგვისტოს ცხადდებიან.

### VIII. ქორეოგრაფიული სტუდიის (წრის) მშობელთა კომიტეტის მიზნები და ამოცანები

1. ქორეოგრაფიული სტუდიის (წრის) მშობელთა კომიტეტს ერ-თი წლის ვადით ირჩევს მშობელთა საერთო კრება.

2. მშობელთა კომიტეტი:

ა) ირჩევს თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარესა და მდი-ვანს;

ბ) მუშაობაში ხელმძღვანელობს სტუდიის (წრის) დებულებით, წლიური სამუშაო გეგმით, სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს მითითებებით;

გ) ეხმარება სტუდიას (წრეს) ბავშვებთან კლასგარეშე და სკო-ლისგარეშე მუშაობის ორგანიზებაში;

დ) მშობელთა კომიტეტის დადგენილებით მცირეშემოსავლიანი ოჯახების შვილები შეიძლება განთავისუფლდნენ სწავლის გადასახადი-საგან (იმ შემთხვევაში, თუ სტუდიას ფულადი დანაზოგი გააჩნია);

ე) მონაწილეობს სტუდიის სამეურნეო საქმიანობაში;

ვ) ხარჯავს ფულად დანაზოგს თავისი გადაწყვეტილებით;

ზ) ატარებს კრებებს (სემესტრში ორჯერ), აწარმოებს კრების ოქმებს;

თ) ანგარიშს აბარებს მშობელთა საერთო კრებას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## IX. ქორეოგრაფიული სტუდიის საქმისწარმოება და ანგარიშგება

1. ქორეოგრაფიული სტუდია განათლების განყოფილების წინაშე დადგენილ ვადებში წარადგენს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, ფინანსური საქმიანობის წლიურ ანგარიშს და სტატისტიკურ ცნობებს (დაწესებული ფორმით).

2. ქორეოგრაფიული სტუდია უნდა აწარმოებდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი საჭირო დოკუმენტაციის ყველა ფორმას.

3. ქორეოგრაფიული სტუდიის (წრის) დოკუმენტაცია:

1. ბრძანებების წიგნები — 2 წიგნი პირადი შემადგენლობისა და მოსწავლეთა შესახებ ცალ-ცალკე (დალუქული და ზონარგაყრილი)
2. სტუდიის დამთავრების მოწმობების სარეგისტრაციო წიგნი (დალუქული და ზონარგაყრილი)
3. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმა
4. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის სააღრიცხვო ჟურნალი (კლასების მიხედვით)
5. საკლასო ჟურნალი
6. სტუდიაში მიღების, კლასიდან კლასში გადაყვანისა და გამოსაშვები გამოცდების ოქმები
7. მოსწავლეთა აკადემიურ კონცერტებზე, სარაიონო და საქალაქო რესპუბლიკურ დათვალიერებებზე მონაწილეობის სააღრიცხვო ჟურნალი
8. მეცადინეობის საერთო ცხრილი (დამოწმებული დირექტორის მიერ)
9. მოსწავლეთა პირადი საქმეები
10. სწავლის გადასახადის სააღრიცხვო ჟურნალი
11. სტუდიის პედსაბჭოს ოქმები
12. მშობელთა საერთო კრებისა და კომიტეტის სხდომის ოქმები
13. მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაცია
14. ანგარიშსწორების უწყისი
15. საინვენტარიზაციო ჟურნალი
16. შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვა
17. მასწავლებელთა და აკომპანიატორთა მოსვლა-წასვლის ტაბელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## X. ქორეოგრაფიული სტუდიის (წრის) ფინანსური საქმიანობის ძირითადი საკითხები

1. ქორეოგრაფიული სტუდიის (წრის) მასწავლებელთა და აკომპანიატორთა ხელფასის ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1977 წლის 3 იანვრის განათლების მუშაკთა ხელფასის გამოსაანგარიშებელი ინსტრუქციის 25-ე მუხლის მიხედვით.

2. ხელფასის განაკვეთები სტუდიის (წრის) მასწავლებლებს უნაზღაურდებათ კვირაში 18 საათის, ხოლო აკომპანიატორებს—24 საათის პედაგოგიური მუშაობისათვის.

### მასწავლებელთა ხელფასის განაკვეთები

| განათლების ცენზი | პედაგოგიური მუშაობის სტაჟი | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1-დან 5 წლამდე | 5-დან 10 წლამდე | 10-დან 15 წლამდე | 15 წელი და მეტი |
| უმაღლესი განათლებით | 90 | 100 | 105 | 100 |
| საშუალო სპეციალური განათლებით | 85 | 90 | 95 | 100 |
| ზოგადი საშუალო განათლებით | 80 | 80 | 85 | 85 |

შენიშვნა: მასწავლებლებს თვიური ხელფასის განაკვეთი ეძლევათ კვირაში 18 საათის მუშაობისათვის (3 ჯგუფი× 6 სთ.= 18 სთ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკომპანიატორთა ხელფასის განაკვეთები

| განათლების ცენზი | პედაგოგიური მუშაობის სტაჟი | | |
|---|---|---|---|
| | 1-დან 5 წლამდე | 5-დან 10 წლამდე | 10 წელი და მეტი |
| უმაღლესი მუსიკალური განათლებით | 90 | 100 | 110 |
| საშუალო მუსიკალური განათლებით | 85 | 90 | 95 |
| მუსიკალური განათლების გარეშე | 80 | 80 | 80 |

შენიშვნა: აკომპანიატორებს თვიური ხელფასის განაკვეთი ეძლევათ კვირაში 24 საათის მუშაობისათვის (4 ჯგუფი×6 სთ.= 24 სთ.).

